დამტკიცებულია:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს N3 დადგენილებით
12 თებერვალი 2019 წელი, ოქმი N1.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესსა და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმს.
2. უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ჩართულობას უნივერსიტეტის შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის დონეზე და ხელს უწყობს უნივერსიტეტში ორგანიზაციული კულტურის განვითარებას.
3. უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება პროცესის უწყვეტობას და დაგროვილი გამოცდილების რეგულარულ გამოყენებას.

მუხლი 2. უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის მიზანი

1. სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, განსაზღვროს მისი გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის გზები.
2. უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვა უზრუნველყოფს:
   ა) პრიორიტეტების გათვალისწინებით საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;
   ბ) მისაღწევი მიზნების განსაზღვრას;
   გ) მიზნების მიღწევის გზებისა და შესაბამისი ვადების განსაზღვრას;
   დ) პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურების გამოკვეთას;
   ე) ანგარიშგების სისტემის შექმნას;
   ვ) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მინიტორინგსა და შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

მუხლი 3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი

უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად ორგანიზებისათვის აკადემიური საბჭო ქმნის სამუშაო ჯგუფს (შემდეგში - სამუშაო ჯგუფი), რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სამუშაო ჯგუფში უნდა შედიოდეს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტის მინიმუმ ორი წარმომადგენელი.

მუხლი 4. სტრატეგიულ დაგეგმვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტრატეგიის ფორმირებისას დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებას, სათანადო მეთოდოლოგიით დაგეგმილი და განხორციელებული გამოკითხვების, სამუშაო შეხვედრების, ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდლოგიით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის სახით.

მუხლი5. სტრატეგიის შინაარსის განსაზღვრა

სტრატეგია უნდა დაიგეგმოს უნივერსიტეტის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ყველა სფეროს გათვალისწინებით და უზრუნველყოს ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტთა კონსტიგენტის დაგეგმვა, კვლევითი საქმიანობა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება, სტუდენტური სერვისების განვითარება, საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა, ასევე, უნივერსიტეტისათვის პრიორიტეული სხვა მნიშვნელოვანი სფეროები.

მუხლი 6. სტრატეგიული განვითარების გეგემის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) შესავალი (სტრატეგიის მოკლე მიმოხილვა);
   ბ) უნივერსიტეტის მისია და ხედვა;
   გ) უნივერსიტეტის მოკლე ისტორია და წარსული გამოცდილების მოკლე მიმოხილვა, მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი ანალიზი;
   დ) უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, განვითარების შესაძლებლობების მიმოხილვა და განხორციელების რისკების შეფასება;
   ე) უნივერსიტეტთან კავშირში მყოფი დაინტერესებული მხარეების საჭიროებების აღწერა;
   ვ) სტრატეგიული მიმართულებები - უნივერსიტეტის სამომავლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიმოხილვა;
   ზ) სტრატეგიული მიზნები - უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე განსაზღვრული მიზნების შესახებ განაცხადი. სტრატეგიული მიზნები უნდა იყოს კონკრეტული, მიღწევადი და შეფასებადი, კონკრეტულ დროში განსაზღვრული;
   თ) მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული ამოცანების კონკრეტული ჩამონათვალი;
   ი) სტრატეგიული განვითარების გეგმიით განსაზღვრული ღონისძიებების სავარაუდო ფინანსური გაანგარიშება, პირველი წლის შემოსავლებისა და დანახარჯების პროგნოზი და მომდევნო წლების სავარაუდო ფინანსური პროგნოზი;
   კ) სტრატეგიის შემმუშავებელი ჯგუფის გადაწყვეტილებით, სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს სხვა დამატებით ინფორმაციას იმ პირობების შესახებ, რაც შესაძლებელს ხდის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიღწევას ან სხვა აქტუალურ ინფორმაციას.
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა დგება 7 წლიან პერიოდზე გათვლით.
3. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას უნდა დაერთოს საშუალოვადიანი (3 წლიანი) სამოქმედო გეგმა.

მუხლი 7. სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება

სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა აღწერს მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ სტრუქტურებს/პირებს, შესაბამისი აქტივობის შესრულების კრიტერიუმებსა და საჭირო რესურსებს.

მუხლი 8. სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა

1. უნივერსიტეტის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს უნივერსიტეტის ფინანსური რესურსის გათვალისწინებით.
2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტრატეგიით გთვალისწინებული საკითხების შესაბამისობას ბიუჯეტის პროგნოზირებად შემოსავლებთან და ხარჯებთან.

მუხლი 9. სტრატეგის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

1. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო უნივერსიტეტის სტრატეგია, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები და სტრუქტურები აისახება სტრატეგიულ გეგმაში.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებასა და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენას აკადამიური საბჭოს წინაშე.
3. ამ მუხლით განსაზღვრული შფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხედვა, სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელებისათვის საჭიროებების შესახებ და შესაბამისი ცვლილებების პროექტი.
4. აკადემიური საბჭო წარმოდგენილი პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, ამტკიცებს მას ან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების გადახედვას და ცვლილების საჭიროების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენას.

შეტანილია ცვლილება:
აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 სექტემბრის № 34 დადგენილებით.